ნასყიდობის ხელშეკრულება №რქმ/

ქ. თბილისი _____ 2019 წელი

შპს „ჯიარ ქონების მართვა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202460103), შემდგომში – “გამყიდველი”, წარმოდგენილი მისი _____ (პირადი ნომერი _____) სახით და _____ (პირადი N/საიდენტიფიკაციო კოდი _____) შემდგომში – “მყიდველი”, შპს „ ჯიარ ქონების მართვა“ მიერ 2019 წლის _____ გამოცხადებული №__/__ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შპს „ჯიარ ქონების მართვის“ მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით უძრავი ქონების რეალიზება.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ”გამყიდველი” საკუთრებაში გადასცემს ”მყიდველს”: ქ. ბორჯომში მდებარე 55 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 80 კვ. მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 64.23.03.577).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ (_____) ლარს (ელექტრონული აუქციონზე “მყიდველის” მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა).

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ”მყიდველის” მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული თანხა წინასწარი ანგარიშსწორებით (გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) ჩარიცხულია შპს ”ჯიარ ქონების მართვის” საბანკო რეკვიზიტებზე, რაც დასტურდება მყიდველის მიერ წარმოდეგენილი საგადახდო დავალებებით;

4.2 ”მყიდველის” მიერ გადახდილი ”ბე”-ს თანხა ჩაითვლება ქონების ფასის საბოლოო ანგარიშსწორებისას.

5. გაყიდული ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული საერთო ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ ”მყიდველსა” და ”გამყიდველს” შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 ”გამყიდველის” მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, უფლებამოსილი პირია, _____(პირადი № _____).

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1 ”გამყიდველი” ვალდებულია ”მყიდველს” გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ქონება;

6.2 ”მყიდველი” ვალდებულია ხელშკრულების გაფორმებისთანავე მოახდინოს ხელშკეურლების ობიექტის მიღება ”გამყიდველისაგან”;

6.3 ”მყიდველი” ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები ანაზღაურდება „მყიდველის“ მიერ;

6.4 ”მყიდველი” ვალდებულია შეძენილ ქონებაზე, ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, შესაბამისი პროექტი წინასწარ შეათანხმოს სს „საქართველოს რკინიგზა“- სთან;

6.5 ”მყიდველი” ვალდებულია საქმიანობის პროცესში დაიცვას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.

7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულები მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე;

9. დასკვნითი დებულებები

9.1 ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით;

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება მყიდველს, ორი გამყიდველს და ერთი ინახება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

10. მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი”	”მყიდველი”
შპს“ ჯიარ ქონების მართვა“	----------
ს/კ 202460103	მისამართი: ----------
ქ.თბილისი, თამარ მეფის №15	----------
თიბისი ბანკი: კოდი TBCBGE22 ანგ.	იურიდ. მისამართი: ----------
GE43TB7182336080100002	ტელ.: ----------
ტელ.: 219 96 62; 595 03 00 08	

_____ _____